

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N1

19.11.2025

სხდომის ჩატარების

ადგილი:

ქალაქ ქუთაისი

ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა.

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, ელენოზრა არჩაია, შოთა ჯიშკარიანი, სალომე სარალიძე.

ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი - ბატონი იოსებ ჩიჯავაძე.

ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ქალბატონი - მაია ნადარეიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანა ერემეიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

„ა(ა)იპ ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში მიმდენარე წელს ჩატარებული სამუშაოების შესახებ“.

კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს უყარა კენჭი და დაადგინა:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მანანა ჩიხლაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოადგენს ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი ბატონი იოსებ ჩიჯავაძე.

იოსებ ჩიჯავაძე: ა(ა)იპ „ქ.ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციული და სხვადასხვა საშტატო განაკვეთი დაკომპლექტებულია 19 სპეციალისტით, მათგან 2 ტექნიკური პერსონალი, რომლებიც ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა უპირატესად ქვეყნის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, სადაც მკვეთრად გამოიწველია ცენტრის და ადგილობრივი თვითმმართველობითი, აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისათვის, მუნიციპალურ დონეზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის სათანადო პირობებს (როგორებიცაა: ჯანმრთელობის რისკების შემცირება; ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა; მიმართავს ცენტრალურ ორგანოებს ჯანმრთელობის ხელშეწყობი კონკრეტული პირობების უზრუნველყოფისათვის და სხვა). აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით.

ცენტრის სტრატეგიულ ფუნქციებს მიეკუთვნება :

1. გადამდებ/არაგადმდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
2. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან;
3. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა;
4. მოსახლეობის, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და გაძლიერება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში;
5. მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დელეგირებული აქვთ შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამდიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

დ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ვ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ზ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

მუნიციპალურ დონეზე სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით ხდება ექსკლუზიური პროგრამების შემუშავება, რომლის ხარჯები და დაფინანსების წესი განეკუთვნება მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებას. ასეთ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნებიან ისეთები, რომლებიც არ არის ასახული დელეგირებულ და ცენტრალური დონის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებში ან წარმოადგენს მას გაფართოებული სახით.

მუნიციპალურ დონეზე ცენტრის ვალდებულება-პასუხისმგებლობის სფეროს მიკუთვნებულ პროგრამებს და მათი განხორციელებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს წარმოადგენენ:

ა) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

დ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ვ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ზ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

ი) გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი;

კ) ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა:

მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა; ვირუსული დიარეების კვლევა; ჰელმინთოზების ეპიდზედამხედველობა; ეპიდსიტუაციებზე რეაგირება; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; აივ-ინფექცია /შიდსის სახელმწიფო პროგრამა.

ეპიდზედამხედველობის კუთხით შესაბამისი ბრძანების (N01-26/6 25.03.2019) მოთხოვნით შეტყობინებას ექვემდებარება 74 ნოზოლოგია. 2025 წლის განვლილ პერიოდში ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან სასწრაფო (ფ58/1) და ყოველთვიური (ფ 58/3) შეტყობინებების საფუძველზე დაფიქსირდა და ეპიდემიოლოგიური მოკვლევა ჩატარდა ნოზოკომიური პნევმონიის -153, ნოზოკომიური ბაქტერიემიის- 62, საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექციის - 80, ქირურგიული ჩარევის მიდამოს ნოზოკომიური ინფექციის -27, წითელას -19, ყივანახველის -26, ჰანტავირუსული ინფექციის -5, სალმონელოზის -2, შიგელოზის -1, ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზის-1, ბრუცელოზის-30, ბაქტერიული მენინგიტის-5, ბორელიოზის-24, ლეპტოსპიროზის -92, მწვავე ჰეპატიტი B-9, ორსულთა სიფილისის-8, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B-62, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი C-212, ჩუტყვავილას-320, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვის -223, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 558 შემთხვევაზე.

სამედიცინო დაწესებულებებიდან დაფიქსირდა 34 845 გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციების ამბულატორიული შემთხვევა (ILI) და 2358 გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა (SARI).

გადამდებ დაავადებათა ინფორმაციის რუტინული ანალიზის შეფასების, რეკონმენდაციების შემუშავების და ნოზოკომიურ ინფექციებზე ზედამხედველობის მიზნით ჩატარდა მონიტორინგი 9 სტაციონარში, 10 პოლიკლინიკაში, 3 დისპანსერში და 3 სამშობიარო სახლში.

ქუთაისში მოქმედ ოთხ ანტირაბიულ კაბინეტში (საეკლესიო საავადმყოფო, რეფერალური ჰოსპიტალი, ჰოსპიტალსერვისი და დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი) სამედიცინო დახმარება გაეწია სულ 2843 დაზარალებულს, მათ შორის პატრონიანი ცხოველით დაზარალებული იყო 1631 მოქალაქე, უპატრონო ცხოველით-1212, აქედან 15 წლამდე იყო 993.

რადგანაც ქუთაისის ანტირაბიული კაბინეტები ემსახურება პაციენტებს სხვადასხვა რეგიონებიდან, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ხდება დაზარალებულთა შესახებ ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებისათვის შემდგომი ზედამხედველობის მიზნით.

რაც შეეხება იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამას, ქალაქ ქუთაისის მასშტაბით მასში მონაწილეობას ღებულობს 22 სამედიცინო დაწესებულება, აქედან 0-18 წლის ასაკში გეგმიურ ვაქცინაციას ატარებს 12 დაწესებულება.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში მომზადდა საორიენტაციო გეგმა 2025 წლისათვის, ქალაქ ქუთაისის მოსახლეობისათვის საჭირო ვაქცინებსა და სახარჯ მასალაზე, ასევე მიმდინარეობდა მუშაობა 2024 წელს ვაქცინებით მოცვის მაჩვენებლის დაზუსტებაზე.

ყოველთვიურად ხორციელდება გეგმიური მონიტორინგი პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებში, ყოველთვიურად ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მიღება, ანალიზი და წარდგენა დეცის იმერეთის ზონალურ სამსახურში, ასევე მათი ელექტრონულ მოდულში დამუშავება.

ა/წ განმავლობაში ჩვენი ცენტრის ორგანიზებით, შესაბამისი ფუნქცი-ვალდებულებების განსახორციელებლად მოეწყო სხვადასხვა აქტივობები.

- 2025 წლის 13 თებერვალს ქ.ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით შედგა შეხვედრა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალთან.

- 2025 წლის თებერვლის თვეში დავუგეგმეთ ოჯახის ექიმებს 2022 და 2019 წლებში დაბადებული აუცრელი და არასრულად აცრელი ბავშვების აცრები.
- 2025 წლის 25 მარტს ქ.ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში შედგა შეხვედრა, იმუნიზაციის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, აცრებით მოცვის მაჩვენებლების გაცნობის მიზნით.
- 2025 წლის აპრილის ბოლო კვირას, იმუნიზაციის კვირეული ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან, ორსულებთან, გამოსვლები ტელევიზიით, სადაც კიდევ ერთხელ შევახსენეთ მოსახლეობას იმუნიზაციის მნიშვნელობაზე.
- 2025 წლის 23,24 და 25 ივნისს „პრაქტიკული იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრები ოთხ სესიად პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალთან (ექიმები, ექთნები) და სკოლამდელი დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან.
- 2025 წლის 1 ოქტომბერს, ვაქცინაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით დკეც-ის საკონფერენციო დარბაზში შედგა შეხვედრა სკოლის დირექტორებსა და სამედიცინო პერსონალთან.
- 2025 წლის 10 ოქტომბრიდან დაიწყო გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც ხელმისაწვდომი არის საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის 6 თვის ასაკიდან. აქციის ფარგლებში გამსვლელი ბრიგადის მეშვეობით ჩატარდა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მოხუცთა ორგანიზებულ თავშესაფრებსა და ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო-დაწესებულებათა გაერთიანებაში.
- ასევე პროგრამის ფარგლებში ხდება აცრის შემდგომი გართულებების შესწავლა და ამ შემთხვევების ანგარიშგება.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კვარტალში ერთხელ, დკეც-ის ცენტრის იმერეთის სამმართველოდან ვღებულობთ 13 სახის ვაქცინას და საჭიროებისამებრ გავცემთ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებზე.

2025 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით მიღებული და გაცემული ვაქცინების რაოდენობა ნაჩვენებია ცხრილში.

	ვაქცინის დასახელება		მიღება	გაცემა
1	ბცჟ ვაქცინა		8000დოზა	6420 დოზა
2	B ჰეპატიტის საწ. ვაქცინა		3970დოზა	2900 დოზა
3	B ჰეპატიტის საწ. იმუნოგლობულინი		30დოზა	24 დოზა

4	წ.წ.ყ. ვაქცინა	3266დოზა	2316 დოზა
5	პრევენარი 13	3666დოზა	2486 დოზა
6	ტეტრაქსიმის ვაქცინა	3611დოზა	2551 დოზა
7	ჰეპსაქსიმის ვაქცინა	4286დოზა	3136 დოზა
8	როტარიქსი	3491დოზა	2321დოზა
9	ტდ ვაქცინა	1050დოზა	560 დოზა
10	გარდასილი	1285დოზა	810 დოზა
11	ანტირაბიული ვაქცინა	12200დოზა	11970 დოზა
12	ექვირაბი (ანტ.იმუნოგლობულინი)	480დოზა	505 დოზა
13	„ვაქსიგრიპი ტეტრა“(გრძის საწ. ვაქცინა)	5000დოზა	3820 დოზა

- დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად ხორციელდება პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მიღება, ანალიზი და წარდგენა დეკ-ის იმერეთის ზონალურ სამსახურში, ასევე მათი ელექტრონულ მოდულში დამუშავება. საჭიროებისამებრ ხდება დაწესებულებებზე ორსულთა კომბინირებული ტესტებისა (HIV, HCV, HBsAG,Syphilis) და სახარჯი მასალის გაცემა.
- 2025 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით მიღებულია 2595 ცალი ორსულთა კომბინირებული ტესტი,აქედან სამშობიარო სახლებზე გაცემულია 2175 ცალი ტესტი.
- პროგრამის ფარგლებში 2025 წლის 10 თვის განმავლობაში კვლევა ჩაუტარდა 2224 ორსულს, კვლევის შედეგად გამოვლინდა 21 ბ ჰეპატიტის, 8 ც ჰეპატიტის, 10 სიფილისისა და 1 შიდსის ინფიცირების შემთხვევები, რომლებსაც ჩაუტარდათ შემდგომი კონფირმაციული კვლევა.

მალარიისა და სხვა ტრანსმისიური დაავადებების პრევენციის კუთხით გასატარებელი ღონისძიებებისათვის 2025 წლის დასაწყისში შედგენილ იქნა ტრანსმისულ დაავადებათა გადამტანების წინააღმდეგ ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.

აღრიცხვა-პასპორტიზაციის საფუძველზე შეგროვდა ინფორმაცია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ღია ტიპის წყალსატევების შესახებ, განსაზღვრულ იქნა საბონიფიკაციო სამუშაოების მოცულობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები, ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილია სამ ტერიტორიულ ერთეულად (ავტოქარხნის დასახლება, გუმათის დასახლება, ქალაქის დანარჩენი ნაწილი). აღწერილ იქნა 45 ღია ტიპის გარემოში არსებული წყალსატევი 11.99 ჰა საერთო ფართობით, აქედან 8.5 ჰა მუდმივი, ხოლო 3.4 ჰა დროებითი წყალსატევია. აგრეთვე, ქალაქის

მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებულ სამკურნალო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განსაზღვრულ იქნა მწერების მიმართ ინსექტიციდებით დასამუშავებელი ფართობის მოცულობა.

აქედან გამომდინარე, პასპორტიზაციის საფუძველზე 3 პუნქტით განისაზღვრა შესრულებული საბონიფიკაციო სამუშაოების მთლიანი მოცულობა:

1. 36 მუდმივი, დახურული ტიპის შენობა-ნაგებობათა არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფები), საჭიროებს 31435 მ²-ზე ხელით შესასხურებელი აპარატით ინსექტიციდებით დამუშავებას, (ორჯერადი დამუშავების ფართობი 62 870 მ²), ამათგან 25 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ფართობით და 1 სასწავლო დაწესებულება მუშავდება ერთჯერადად 17250 მ²-ზე (ორჯერადად დამუშავების ფართობი 35 500 მ²), ხოლო დანარჩენი 10 სამკურნალო დაწესებულების დასამუშავებელი ფართობია 14 185 მ², (ორჯერადი დამუშავების ფართობი კი 28 370 მ²-ია).

დროებითი წყალსატევები არ საჭიროებენ ინსექტიციდებით დამუშავებას შემდეგი მიზეზების გამო:

საქართველო გამოცხადებულია მალარიისაგან თავისუფალ ქვეყნად.

- ინსექტიციდების ხშირი გამოყენება იწვევს გადამტანი კოლოების რეზისტენტობას პრეპარატის მიმართ, რაც მალარიის შემთხვევაში მკვეთრად შეამცირებს ბრძოლის ღონისძიებების ეფექტურობას.
 - ასეთ ვითარებაში ინსექტიციდების გამოყენება გამოიწვევს ფინანსური რესურსებისა და დასამუშავებელი მასალის ფუჭ ხარჯს.
2. 43 ღია ტიპის წყალსატევებიდან 16 (30 000 მ² ფართობზე) საჭიროებს კოლოების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებას, კერძოდ, თევზი გამბუზიის გავრცელებას. დანარჩენი 27 წყალსატევიდან 1 დაგამბუზირებულია ბუნებრივად, ხოლო 26 წყალსატევაში არ არსებობს გამბუზიის არსებობისთვის ხელსაყრელი პირობები (ლელქაში, შლამი, დროებითად დამდგარი წყალი და სხვა) სხვადასხვა გარემოებათა გამო.
 3. ჩვენს მიერ სავარაუდო ინფექციური კერების არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია სადეზინსექციო სამუშაოების ჩასატარებელი ხარჯები.

აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვას და შემდგომში შესრულებულ სამუშაოთა მონიტორინგს აწარმოებს ენტემოლოგი, ხოლო საბონიფიკაციო სამუშაოები 2025 წლის 1 მაისის N23-25 ხელშეკრულების საფუძველზე ეტაპობრივად სრულდება შპს „ქ.ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც.ეპიდზედამხედველობის“ სამსახურის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2025 წლის 10 თვის მანძილზე გეგმიურად დამუშავდა 36 ობიექტის შენობა-ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი) ორჯერადად, გარდა ამისა სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა ეპიდზედამხედველობის სახ.პროგრამის „მალარიისა და სხვა ტრანსმისიული დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების“ მიზნით

(ხელშეკრულება N206 10.04.2025), წლის ფარგლებში 63 ობიექტში დამუშავდა 40 000 მ² (ორჯერ), ჯამში დაიხარჯა 20 კგ „სოლფაკი - Wp-10“ (დასამუშავებელი ინსექტიციდი მოწოდებული იყო ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ უსასყიდლოდ).

სახელმწიფო პროგრამა „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ (ფარგლებში დკეც-ის იმერეთის სამმართველოდან მიღებულია პაპილომა ვირუსის დიაგნოსტიკისათვის HPV ტესტები, რომლის სისტემატიური გაცემა ხდება 6 სამედიცინო დაწესებულებაზე („ჯანმრთელობის ცენტრი ჰერა“; კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი; კლინიკა „ბომონდი“; ახალი II სამშობიარო სახლი; ცხაკაიას სახ. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრი; ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი). 2025 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით მიღებული და გაცემულია 2300 ცალი ტესტი.

რაც შეეხება „C“ ჰეპატიტის პრევენციასა და სკრინინგს, აღნიშნულის შესასრულებლად ქალაქ ქუთაისის 16 სამედიცინო დაწესებულებას ვაძლევთ სწრაფ ტესტებს, შესაბამისი სახარჯი მასალით ბენეფიციართა გამოსაკვლევადა. 1 იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით დაწესებულებებზე გაცემულ იქნა 11 177 HCV სწრაფი ტესტი, დაფიქსირდა 154 დადებითი შემთხვევა. ასევე ხდება აივ ინფექცია (HIV) სწრაფი ტესტებით დაწესებულებების უზრუნველყოფა. გაიცა 10 554 ცალი ტესტი, აქედან დაფიქსირდა 6 დადებითი შემთხვევა.

ყველა იმ პაციენტს, რომელთაც დაუფიქსირდათ დადებითი პასუხი, რეკომენდაცია მიეცათ შემდგომ კვლევებზე და „C“ ჰეპატიტის პროგრამაში მკურნალობის ჩართვაზე.

შესაბამისი გეგმა-გრაფიკით ეწყობა სკოლამდელ დაწესებულებებში მონიტორინგი, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესასწავლად და არსებული მდგომარეობის შესაბამისი აქტით, სათანადო რეკომენდაციის მიცემით (როგორებიცაა სხვადასხვა ბაგა-ბაღებსა და ჯგუფებში იატაკის შეკეთების საჭიროება; სანიტარული კვანძების და იზოლირებული სათავსო-კარადების ნაწილის შეცვლის საჭიროება; საექიმო კაბინეტების მოწესრიგება და სხვა).

რაც შეეხება საზოგადოებრივ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე მონიტორინგს, შესაბამისი კვალიფიციური ჯგუფი აწარმოებს სისტემატიურ მონიტორინგს ქალაქ ქუთაისში მოქმედ ესთეტიკისა და სილამაზის ცენტრებში. გასულ პერიოდში შემოწმება განხორციელდა სულ 172 ობიექტზე, ხოლო როგორც პირველადი, ისე განმეორებითი შემოწმება განხორციელდა 215 ობიექტზე. აქედან შესაბამის ნორმებს პასუხობდა 83 სალონი, დანარჩენ ობიექტებს მიეცათ სხვადასხვა შენიშვნები:

- რეგისტრაციის ვადების დარღვევა.
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების დარღვევა.
- დასალაგებელი ინვენტარის მარკირების შენახვის წესების დარღვევა.
- სტერილიზაციის აღრიცხვის ჟურნალის არასწორი წარმოება.
- სარეცხ და სადეზინფექციო საშუალებებზე მათი გამოყენების ინსტრუქციების წერილობითი სახით არქონა.

განმეორებით გადამოწმებისას 38 ობიექტში დასახული ღონისძიებები შესრულებულია, დარჩენილ ობიექტებში გრძელდება მიცემული შენიშვნების შესრულების მდგომარეობის გადამოწმება. სარემონტო კეთილმოწყობით სამუშაოებს საჭიროებდა 9 სალონი, 4 ობიექტს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, დანარჩენი მიმდინარეობს პროცესი.

როგორც ზემოთ ავლიშნეთ მუნიციპალურ დონეზე ხდება საჭიროების შემთხვევაში ექსკლუზიური პროგრამების შემუშავება და ასეთი ჩვენს შემთხვევაში არის „B“ ჰეპატიტის სკრინინგი და დაავადების ადრეული გამოვლენა“, რომელიც დაფინანსდა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ და სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, სხვადასხვა დაწესებულებებში, მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ააიპ-ებში, მსურველთა სკრინინგი. სულ კვლევა ჩაიტარა 431-მა ბენეფიციარმა, აქედან დადებითი აღმოჩნდა 8 შემთხვევაში რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი რეკომენდაცია შემდგომი მკურნალობისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გარდა ააიპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“-ა და მოწვეული სპეციალისტების მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში ორგანიზება გაუკეთდა სხვადასხვა აქტივობებს მოსახლეობის ინფორმირებისათვის მათი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

2025 წლის 13 თებერვალს, ააიპ. ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით, შედგა შეხვედრა მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალთან. შეხვედრის თემა იყო - გადამდები დაავადებების გავრცელების შეჩერების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

2025 წლის 25 მარტს ააიპ. ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში შედგა შეხვედრა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან. შეხვედრის მიზანი იყო „ც“ ჰეპატიტისა და კიბოს სკრინინგის მნიშვნელობა.

ამა წლის 29 აპრილს შედგა ხონელიძის კლინიკაში შეხვედრა მომავალ დედებთან იმუნიზაციასთან დაკავშირებით.

2025 წლის 20, 21 მაისს მაღლიერების სახლსა და ხანდაზმულთა პანსიონატში ჩატარდა ჰიპერტენზიის კვირეული.

დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა მომდევნო 2026 წლის სამუშაო გეგმის შედგენასა და მის დაზუსტებაზე. მინდა ავლნიშნო, რომ ჩვენს სამსახურს აქვს ტექნიკური პოტენციალი და ადამიანური რესურსიც, რომ გავაკეთოთ ლაბორატორია, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი ფართი არ გვაქვს.

- **შალვა მშვილდაძე:** ნიკეას ქუჩაზე არის სამსართულიანი შენობა, სადაც ცხოვრობდნენ ლტოლვილები. ისინი სრულად დაკმაყოფილდნენ საცხოვრებლით და ეს შენობა გათვალისწინებული გვაქვს თქვენი სამსახურისთვის და არა მხოლოდ თქვენთვის, რადგან ფართი ძალიან დიდია. ვფიქრობთ, რამდენიმე აიპი განთავსდება.
- **მაია ნადარეიშვილი:** ჩვენ გვაქვს საწყობი, სადაც განთავსებულია ვაქცინაციისთვის საჭირო პრეპარატები. თუ იქნება საშუალება, ჩვენი სამსახური პირველ სართულს დაიკავებს.
- **შალვა მშვილდაძე:** დიახ, თქვენთან ერთად გავივლი ფართების განაწილების საკითხს.
- **ელეონორა არჩაია:** ქალაქში დაფიქსირდა მუწის რამდენიმე შემთხვევა. თქვენი სამსახური ატარებს დეზინფექციის სამუშაოებს ამ მხრივ?
- **ოსებ ჩიჯავაძე:** ჩვენი სამსახური ვერ ერთვება სადეზინფექციო სამუშაოებში. ამისთვის კონკრეტულ ორგანიზაციებს აქვთ ხელშეკრულება კერძო სადეზინფექციო სამსახურებთან და მათგან იღებენ მომსახურებას. პაციენტი კი კლინიკას მიმართავს მკურნალობისთვის.
- **ელეონორა არჩაია:** ქალბატონო სალომე, დაფიქსირდა თუ არა თქვენს დაქვემდებარებულ სკოლაში მუწის შემთხვევა?
- **სალომე სარალიძე:** არა, არც ერთი.
- **მანანა ჩიხლაძე:** ჩემი დიდი სურვილია, გავაკეთოთ ბევრი აქტივობა ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- **ოსებ ჩიჯავაძე:** საინფორმაციო შეხვედრა გვექონდა ბავშვთა სოფელში, მშობლებთან და ბავშვებთან. დიდი დაინტერესება მოჰყვა ჩვენს შეხვედრას. შეხვედრა 20 წუთი უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ თითქმის ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმი. ჩვენ გვაქვს დელეგირებული უფლება სკოლებში და ბაღებში შესვლის, რომ გავმართოთ საინფორმაციო შეხვედრები, თუნდაც გრიპის აცრებთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის სკოლებში ვერ ვახერხებთ შესვლას, მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა და არაერთხელ სამინისტროსთვის წერილის გაგზავნისა.

- შალვა მშვილდაძე: შეგვიძლია გუბერნიასაც მივმართოთ თხოვნით, რომ გვიშუამდგომლოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.
- მანანა ჩიხლაძე: მიმდინარე წელს შიდსის რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა?
- იოსებ ჩიჯავაძე: 2025 წელს გამოვლინდა 4 შემთხვევა.
- მანანა ჩიხლაძე: ბატონო იოსებ, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი პასუხისმგებლობით მომზადებული ანგარიშისთვის. სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ, რომ დღეის მდგომარეობით 11 000-ზე მეტი კვლევა ჩატარდა „C“ ჰეპატიტის, და მხოლოდ 179 ადამიანს აღმოაჩნდა დადებითი. ეს არის ჩვენი მთავრობის უდიდესი მიღწევა — ბევრი ახალგაზრდა და არა მხოლოდ ახალგაზრდა გადაურჩა ვერაგ დაავადებასთან ბრძოლას, მარტივად დაამარცხა იგი და შეინარჩუნა სიცოცხლე. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ჯანდაცვის დიდი მიღწევაა ვაქცინაცია. მე ცალსახად ვემხრობი აცრებს — აცრა არის დიდი მიღწევა ჩვენს მიმართულებაში. ამასთან ერთად, ვაქცინა არის უმაღლესი ხარისხის და უფასო.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და ერთხმად მოიწონეს საკითხი წარმოდგენილი რედაქციით.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მანანა ჩიხლაძე

